პროექტი

ქ.ახმეტა „-----„----------„ 2019წ.

განკარგულება №

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის სასწრაფო დახმარების მანქანის და აღჭურვილობის სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122--ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის სასწრაფო დახმარების მანქანის და აღჭურვილობის (MITSUBISHI PAJERO, სახ. ნომერი AH 087 HA, გამოშვების წელი 16.12.2014.) სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით უვადოდ გადაცემა, კერძოდ თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)